სისხლის სამართლის სტატისტიკის

ერთიანი ანგარიში

საანგარიშო პერიოდი - 2019 წლის ოქტომბერი

შინაარსი

თავი II.	**პროკურატურის სტატისტიკა …….**	3
ნაწილი 4	სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისა და შეწყვეტის მაჩვენებლები.....	3
4.1	დევნის დაწყების მაჩვენებელი პირების მიხედვით ……....	3
4.2	დევნის დაწყების მაჩვენებელი სისხლის სამართლის კოდექსის კონკრეტული მუხლების მიხედვით ..	4
4.3	დევნის შეწყვეტის მაჩვენებელი პირების მიხედვით	16
4.4	დევნის შეწყვეტის მაჩვენებელი სისხლის სამართლის კოდექსის კონკრეტული მუხლების მიხედვით.	17
ნაწილი 5	დაზარალებული პირები.....	19
5.1	დაზარალებული პირები ასაკობრივ, სქესობრივ ჭრილსა და მოქალაქეობის მიხედვით.....…….....	19
5.2	დაზარალებული პირები სისხლის სამართლის კოდექსის კონკრეტული მუხლების მიხედვით.....	21
ნაწილი 6	არასრულწლოვნები.....	27
6.1	დევნის დაწყების მაჩვენებელი არასრულწლოვანთა მიმართ.....	27
6.2	დევნის დაწყების მაჩვენებელი არასრულწლოვანთა მიმართ სისხლის სამართლის კოდექსის კონკრეტული მუხლების მიხედვით.....	28
6.3	დევნის შეწყვეტის მაჩვენებელი არასრულწლოვანთა მიმართ.....….....	29
6.4	დევნის შეწყვეტის მაჩვენებელი არასრულწლოვანთა მიმართ სისხლის სამართლის კოდექსის კონკრეტული მუხლების მიხედვით.....….....	30
6.5	დაზარალებული არასრულწლოვნები.....	31
თავი III.	**სასამართლო სტატისტიკა .....**	34
ნაწილი 7	სასამართლოს მიერ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიებები	34
7.1	აღკვეთის ღონისძიებების შეფარდების შედეგები	34
ნაწილი 8	პირველი ინსტანციის სასამართლოებში განხილული სისხლის სამართლის საქმეები	36
8.1	პირველი ინსტანციის სასამართლოების მიერ განხილულ საქმეთა საერთო რაოდენობა	36
8.2	არსებითი განხილვით დამთავრებული საქმეები.....	37
8.3	საპროცესო შეთანხმებით განხილული საქმეები.....	38
ნაწილი 9	მსჯავრდებულები	38
9.1	მსჯავრდებულთა განაწილება სასჯელის ფორმების მიხედვით	38
9.2	მსჯავრდებულთა შემადგენლობა	39
9.3	არასრულწლოვანი მსჯავრდებულები	43
ნაწილი 10	დანაშაული და შეფარდებული სასჯელები	44
10.1	დანაშაულისა და შეფარდებული სასჯელების რაოდენობა დანაშაულთა სახეების მიხედვით	44
10.2	დანაშაულისა და დანიშნული სასჯელების რაოდენობა რეგიონების მიხედვით	50
თავი IV.	**პენიტენციური და პრობაციის სისტემების სტატისტიკა.....**	52
ნაწილი 11	საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების -სპეციალური პენიტენციური სამსახური	52
11.1	ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სქესობრივ-ასაკობრივი ჯგუფები	52
11.2	არასრულწლოვანი ბრალდებულები და მსჯავრდებულები	57
11.3	ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა განთავსების დადგენილი ლიმიტები	58

11.4	მსჯავრდებულები დანაშაულის კატეგორიისა და სახეობის მიხედვით	59
11.5	მსჯავრდებულები დაწესებულების ტიპის მიხედვით	61
11.6	უცხო ქვეყნის მოქალაქე და მოქალაქეობის არმქონე ბრალდებულები და მსჯავრდებულები	62
11.7	პენიტენციურ სისტემაში და სისტემის გარეთ გადაყვანა	65
11.8	პენიტენციური სისტემიდან გასვლა	65
11.9	პენიტენციური სისტემიდან ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო გათავისუფლება-გადავადება	67
11.10	რესოციალიზაციის მიმდინარეობა	67
11.11	სამეურნეო სამუშაოებში დასაქმება	74
11.12	დისციპლინური სახდელები	75
11.13	წახალისების ფორმები	76
11.14	პაემნის ღონისძიებები	78
11.15	წარსულში ნასამართლევი ბრალდებულები და მსჯავრდებულები	80
11.16	დაოჯახებული ბრალდებულები და მსჯავრდებულები	81
11.17	შეწყალების შედეგად საპატიმრო სასჯელისაგან გათავისუფლება	82
11.18	ამნისტიის შედეგად საპატიმრო სასჯელისაგან გათავისუფლება	82
11.19	პენიტენციურ სისტემაში მომხდარი დანაშაულები	83
11.20	დაავადებათა გავრცელება (პრევალენტობა) პენიტენციურ სისტემაში	85
11.21	გარდაცვალება	93
ნაწილი 12	საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი - პრობაციის ეროვნული სააგენტო	94
12.1	არაპატიმარი მსჯავრდებულები	94
12.2	არაპატიმარი მსჯავრდებულები დანაშაულის კატეგორიისა და სახეობის მიხედვით	96
12.3	არასრულწლოვანი არაპატიმარი მსჯავრდებულები დანაშაულის კატეგორიისა და სახეობის მიხედვით	97
12.4	უცხოელი არაპატიმარი მსჯავრდებულები	98
12.5	არაპატიმარი მსჯავრდებულები არასაპატიმრო სასჯელის ტიპის მიხედვით	99
12.6	არაპატიმარ მსჯავრდებულთა მატება	100
12.7	დასრულებული საქმეები	102
12.8	პირობითი მსჯავრის გაუქმება და ნასამართლობის მოხსნა	105
12.9	არაპატიმარ მსჯავრდებულთა შეწყალება	106
12.10	არაპატიმარ მსჯავრდებულთა ამნისტია	106
12.11	საქმეების საშუალო რაოდენობა ერთ ოფიცერზე	107
12.12	არაპატიმარ მსჯავრდებულთა რესოციალიზაციის მიმდინარეობა და განრიდებულთა შეფასება	108
12.13	არაპატიმარ მსჯავრდებულთა დასაქმება	110
12.14	შინაპატიმრობა	111

თავი II. პროკურატურის სტატისტიკა

ნაწილი 4. სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისა და შეწყვეტის მაჩვენებლები

4.1. დევნის დაწყების მაჩვენებელი პირების მიხედვით

2019 წლის ოქტომბრის თვეში სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 1900 პირის მიმართ. აქედან გამოსაცდელი ვადის გასვლამდე დანაშაული ჩადენილია 306 პირის მიერ, რაც დევნადაწყებული პირების 16,1%-ს შეადგენს (ცხრილი 3).

სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი რეგიონულ ჭრილში ამგვარია (ცხრილი 4):

დევნის დაწყების მაჩვენებელი რეგიონულ ჭრილში
(% მიუთითებს ხვედრით წილს სულ დევნის დაწყების მაჩვენებელში)



როგორც მონაცემებიდან ჩანს, დევნის დაწყების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი თბილისში ფიქსირდება, ხოლო დაბალი - სამცხე-ჯავახეთის რეგიონში.

4.2. დევნის დაწყების მაჩვენებელი სისხლის სამართლის კოდექსის კონკრეტული მუხლების მიხედვით[1]

2019 წლის ოქტომბრის თვეში დევნის დაწყების მაჩვენებელი სსკ-ის კონკრეტული მუხლების მიხედვით ასე გადანაწილდა (ცხრილი 5):

<u>**დანაშაული სიცოცხლის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 108-116):**</u>



[1] გასათვალისწინებელია, რომ სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამის მუხლებთან მიმართებით დათვლილი სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელთა ჯამი ხშირად აღემატება დევნის დაწყების საერთო მაჩვენებელს, გამომდინარე იქიდან, რომ დანაშაულთა ერთობლიობის დროს (მაგ.: პირმა ჩაიდინა ორი ან მეტი დანაშაული) დევნის დაწყების მაჩვენებელი ფიქსირდება თითოეულ მუხლთან მიმართებით. გარდა ამისა, როდესაც ხდება ბრალდებულის მიმართ უკვე წარდგენილი ბრალდების დაზუსტება (რაც პროცესუალურად გულისხმობს პროკურორის მიერ „პირის ბრალდების შესახებ“ ახალი დადგენილების გამოტანას), პროგრამული თვალსაზრისით, ეს მოცემულობა ასევე აღიქმება დევნის დაწყებად, რაც ბუნებრივად ზრდის საერთო მაჩვენებელს.

<u>დანაშაული ჯანმრთელობის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 117- 126[1]):</u>

დევნის დაწყების მაჩვენებელი ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე
(2019 წლის ოქტომბერი)



<u>დანაშაული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 137-141):</u>

დევნის დაწყების მაჩვენებელი სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე
(2019 წლის ოქტომბერი)



<u>დანაშაული ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ (სსკ მუხლები 142-170):</u>



<u>დანაშაული ოჯახისა და არასრულწლოვნის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 171-176):</u>

დევნა დაიწყო 1 პირის მიმართ სსკ-ის 171-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულზე (არასრულწლოვნის ჩაბმა ანტისაზოგადოებრივ ქმედებაში).

<u>დანაშაული საკუთრების წინააღმდეგ (სსკ მუხლები 177-189[1]):</u>



<u>დანაშაული სამეწარმეო ან სხვა ეკონომიკური საქმიანობის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 190-207[1]):</u>



<u>დანაშაული ფულად-საკრედიტო სისტემაში (სსკ მუხლები 208-213):</u>



<u>დანაშაული საფინანსო საქმიანობის სფეროში (სსკ მუხლები 214- 219):</u>

დევნა დაიწყო 12 პირის მიმართ სსკ-ის 214-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულზე (საქართველოს საბაჟო საზღვარზე საქონლის გადაადგილებასთან დაკავშირებული წესის დარღვევა).

<u>დანაშაული საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 222-239[1]):</u>



<u>სამუშაოს წარმოებისას უსაფრთხოების წესის დარღვევა (სსკ მუხლები 240-245):</u>

დევნა დაიწყო 5 პირის მიმართ სსკ-ის 240-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულზე (სამთო, სამშენებლო ან სხვა სამუშაოს წარმოებისას უსაფრთხოების წესის დარღვევა).

<u>დანაშაული მოსახლეობის ჯანმრთელობისა და საზოგადოებრივი ზნეობის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 246-259):</u>



ნარკოტიკული დანაშაული (სსკ მუხლები 260-274):



<u>სატრანსპორტო დანაშაული (სსკ მუხლი 275-283):</u>

დევნა დაიწყო 83 პირის მიმართ ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევის დანაშაულზე (სსკ-ის 276-ე მუხლი).

<u>კომპიუტერული დანაშაული (სსკ მუხლები 284-286):</u>

დევნა დაიწყო 5 პირის მიმართ კომპიუტერულ სისტემაში უნებართვო შეღწევის დანაშაულზე (სსკ-ის 284-ე მუხლი).

<u>დანაშაული გარემოს დაცვის წესის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 287-306):</u>

დევნის დაწყების მაჩვენებელი გარემოს დაცვის წესის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე
(2019 წლის ოქტომბერი)



<u>ოკუპირებული ტერიტორიების სამართლებრივი რეჟიმის დარღვევა (სსკ მუხლები 322¹-322²):</u>

დევნა დაიწყო 8 პირის მიმართ სსკ-ის 322¹ მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულზე (ოკუპირებულ ტერიტორიებზე შესვლის წესის დარღვევა).

<u>სამოხელეო დანაშაული (სსკ მუხლები 332-342[1]):</u>



<u>დანაშაული მმართველობის წესის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 343-363):</u>



<u>დანაშაული სასამართლო ორგანოების საქმიანობის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 364-367¹):</u>

<u>დანაშაული მტკიცებულების მოპოვების საპროცესო წესის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 368-373):</u>



<u>დანაშაულის დროულად აღკვეთისა და გახსნის წინააღმდეგ მიმართული ქმედება (სსკ მუხლები 374-376):</u>



<u>დანაშაული სასამართლო აქტების აღსრულების წინააღმდეგ (სსკ მუხლები 377-381²):</u>



<u>დანაშაული დაქვემდებარების წესისა და სამხედრო ღირსების დაცვის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 382-396):</u>



4.3. დევნის შეწყვეტის მაჩვენებელი პირების მიხედვით

2019 წლის ოქტომბრის თვეში დევნა შეწყდა 19 პირის მიმართ. დევნის შეწყვეტის მაჩვენებელი რეგიონულ ჭრილში ამგვარია (ცხრილი 3; ცხრილი 4):



4.4. დევნის შეწყვეტის მაჩვენებელი სისხლის სამართლის კოდექსის კონკრეტული მუხლების მიხედვით

2019 წლის ოქტომბრის თვეში დევნის შეწყვეტის მაჩვენებელი სსკ-ის მუხლების მიხედვით ამგვარია (ცხრილი 6):

<u>დანაშაული ჯანმრთელობის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 117- 126[1]):</u>

დევნა შეწყდა 2 პირის მიმართ ძალადობის დანაშაულზე (სსკ-ის 126-ე მუხლი).

<u>დანაშაული ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ (სსკ მუხლები 142-170):</u>

დევნის შეწყვეტის მაჩვენებელი ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე (2019 წლის ოქტომბერი)



<u>დანაშაული საკუთრების წინააღმდეგ (სსკ მუხლები 177-189[1]):</u>



<u>სამუშაოს წარმოებისას უსაფრთხოების წესის დარღვევა (სსკ მუხლები 240-245):</u>

დევნა შეწყდა 1 პირის მიმართ სსკ-ის 240-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულზე (სამთო, სამშენებლო ან სხვა სამუშაოს წარმოებისას უსაფრთხოების წესის დარღვევა).

<u>დანაშაული მოსახლეობის ჯანმრთელობისა და საზოგადოებრივი ზნეობის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 246-259):</u>

დევნა შეწყდა 1 პირის მიმართ სსკ-ის 259-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულზე (ცხოველისადმი სასტიკი მოპყრობა).

<u>ნარკოტიკული დანაშაული (სსკ მუხლები 260-274):</u>

დევნა შეწყდა 1 პირის მიმართ სსკ-ის 265-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულზე (ნარკოტიკული საშუალების შემცველი მცენარის უკანონო დათესვა, მოყვანა ან კულტივირება).

<u>სამოხელეო დანაშაული (სსკ მუხლები 332-342[1]):</u>

დევნა შეწყდა 1 პირის მიმართ სამსახურებრივი გულგრილობის დანაშაულზე (სსკ-ის 342-ე მუხლი).

<u>დანაშაული სასამართლო აქტების აღსრულების წინააღმდეგ (სსკ მუხლები 377-381[2]):</u>

დევნა შეწყდა 1 პირის მიმართ სსკ-ის 377-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულზე (აღწერილ, დაყადაღებულ ან ჩამორთმევას დაქვემდებარებულ ქონებასთან დაკავშირებული უკანონო ქმედება).

ნაწილი 5. დაზარალებული პირები

5.1. დაზარალებული პირები ასაკობრივ, სქესობრივ ჭრილსა და მოქალაქეობის მიხედვით

2019 წლის ოქტომბრის თვეში სულ დაზარალებულ პირთა რაოდენობამ შეადგინა 1161. ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით დაზარალებული პირები ასე გადანაწილდა (ცხრილი 7):

დაზარალებული პირები ასაკობრივ ჭრილში
(% მიუთითებს ხვედრით წილს სულ დაზარალებულ პირთა რაოდენობაში)



დაზარალებული პირები სქესობრივ ჭრილში ამგვარია (ცხრილი 5):



2019 წლის ოქტომბრის თვეში დაზარალებული პირების უმეტესობა საქართველოს მოქალაქეა (ცხრილი 5):



5.2. დაზარალებული პირები სისხლის სამართლის კოდექსის კონკრეტული მუხლების მიხედვით[2]

2019 წლის ოქტომბრის თვეში დაზარალებული პირები სსკ-ის კონკრეტული მუხლების მიხედვით ასე გადანაწილდა (ცხრილი 8):

<u>**დანაშაული სიცოცხლის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 108-116):**</u>

დაზარალებული პირები სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე (2019 წლის ოქტომბერი)



[2] გასათვალისწინებელია, რომ სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამის მუხლებთან მიმართებით დათვლილ დაზარალებულ პირთა ჯამი ხშირად აღემატება დაზარალებულ პირთა საერთო მაჩვენებელს, გამომდინარე იქიდან, რომ დანაშაულთა ერთობლიობის დროს (მაგ.: თუ დაზარალებულის მიმართ ჩადენილ იქნა ორი ან მეტი დანაშაული) დაზარალებული პირის მაჩვენებელი ფიქსირდება თითოეულ მუხლთან მიმართებით. გარდა ამისა, როდესაც ხდება ბრალდებულის მიმართ უკვე წარდგენილი ბრალდების დაზუსტება (რაც პროცესუალურად გულისხმობს პროკურორის მიერ „პირის ბრალდების შესახებ“ ახალი დადგენილების გამოტანას), პროგრამული თვალსაზრისით, ეს მოცემულობა შესაძლოა აღქმულ იქნას დამოუკიდებელ დევნის დაწყებად, რაც ბუნებრივად ზრდის დაზარალებულ პირთა საერთო მაჩვენებელს.

<u>დანაშაული ჯანმრთელობის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 117- 126[1]):</u>



<u>დანაშაული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 137-141):</u>



<u>დანაშაული ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ (სსკ მუხლები 142-170):</u>



<u>დანაშაული ოჯახისა და არასრულწლოვნის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 171-176):</u>

დაზარალდა 1 პირი სსკ-ის 171-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის შედეგად (არასრულწლოვნის ჩაბმა ანტისაზოგადოებრივ ქმედებაში).

<u>დანაშაული საკუთრების წინააღმდეგ (სსკ მუხლები 177-189[1]):</u>

დაზარალებული პირები საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე
(2019 წლის ოქტომბერი)



<u>დანაშაული საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 222-239[1]):</u>

დაზარალებული პირები საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე
(2019 წლის ოქტომბერი)



<u>სამუშაოს წარმოებისას უსაფრთხოების წესის დარღვევა (სსკ მუხლები 240-245):</u>

დაზარალდა 1 პირი სსკ-ის 240-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის შედეგად (სამთო, სამშენებლო ან სხვა სამუშაოს წარმოებისას უსაფრთხოების წესის დარღვევა).

<u>დანაშაული მოსახლეობის ჯანმრთელობისა და საზოგადოებრივი ზნეობის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 246-259):</u>



<u>სატრანსპორტო დანაშაული (სსკ მუხლი 275-283):</u>

დაზარალდა 135 პირი სსკ-ის 276-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის შედეგად (ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევა).

<u>კომპიუტერული დანაშაული (სსკ მუხლები 284-286):</u>

დაზარალდა 11 პირი სსკ-ის 284-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის შედეგად (კომპიუტერულ სისტემაში უნებართვო შეღწევა).

<u>სამოხელეო დანაშაული (სსკ მუხლები 332-342[1]):</u>

დაზარალდა 1 პირი სსკ-ის 342-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის შედეგად (სამსახურებრივი გულგრილობა).

<u>დანაშაული მმართველობის წესის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 343-363):</u>

დაზარალებული პირები მმართველობის წესის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე
(2019 წლის ოქტომბერი)



<u>დანაშაული სასამართლო ორგანოების საქმიანობის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 364-367¹):</u>

დაზარალებული პირები სასამართლო ორგანოების საქმიანობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე
(2019 წლის ოქტომბერი)



<u>დანაშაული სასამართლო აქტების აღსრულების წინააღმდეგ (სსკ მუხლები 377-381²):</u>

დაზარალებული პირები სასამართლო აქტების აღსრულების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე
(2019 წლის ოქტომბერი)



ნაწილი 6. არასრულწლოვნები

6.1 დევნის დაწყების მაჩვენებელი არასრულწლოვანთა მიმართ

2019 წლის ოქტომბრის თვეში სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 36 არასრულწლოვნის მიმართ. აქედან 5 პირმა (13.9%) დანაშაული ჩაიდინა გამოსაცდელი ვადის გასვლამდე (ცხრილი 3).

არასრულწლოვანთა მიმართ დევნის დაწყების მაჩვენებელი რეგიონულ ჭრილში ამგვარია (ცხრილი 4):

დევნის დაწყების მაჩვენებელი არასრულწლოვანთა მიმართ რეგიონულ ჭრილში (% მიუთითებს ხვედრით წილს სულ არასრულწლოვანთა მიმართ დევნის დაწყების მაჩვენებელში)



6.2. დევნის დაწყების მაჩვენებელი არასრულწლოვანთა მიმართ სისხლის სამართლის კოდექსის კონკრეტული მუხლების მიხედვით[3]

2019 წლის ოქტომბრის თვეში არასრულწლოვანთა მიმართ დევნის დაწყების მაჩვენებელი კონკრეტული დანაშაულების მიხედვით ამგვარია (ცხრილი 5):

<u>**დანაშაული სიცოცხლის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 108-116):**</u>

დევნა დაიწყო 1 პირის მიმართ მკვლელობის მცდელობის დანაშაულზე (სსკ-ის 19-108-ე მუხლი).

<u>**დანაშაული ჯანმრთელობის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 117- 126[1]):**</u>

დევნა დაიწყო 3 პირის მიმართ ძალადობის დანაშაულზე (სსკ-ის 126-ე მუხლი).

<u>**დანაშაული ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ (სსკ მუხლები 142-170):**</u>

დევნა დაიწყო 1 პირის მიმართ იძულების დანაშაულზე (სსკ-ის 150-ე მუხლი).

<u>**დანაშაული საკუთრების წინააღმდეგ (სსკ მუხლები 177-189[1]):**</u>



[3] გასათვალისწინებელია, რომ სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამის მუხლებთან მიმართებით დათვლილი სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელთა ჯამი ხშირად აღემატება დევნის დაწყების საერთო მაჩვენებელს, გამომდინარე იქიდან, რომ დანაშაულთა ერთობლიობის დროს (მაგ.: პირმა ჩაიდინა ორი ან მეტი დანაშაული) დევნის დაწყების მაჩვენებელი ფიქსირდება თითოეულ მუხლთან მიმართებით. გარდა ამისა, როდესაც ხდება ბრალდებულის მიმართ უკვე წარდგენილი ბრალდების დაზუსტება (რაც პროცესუალურად გულისხმობს პროკურორის მიერ „პირის ბრალდების შესახებ“ ახალი დადგენილების გამოტანას), პროგრამული თვალსაზრისით, ეს მოცემულობა ასევე აღიქმება დევნის დაწყებად, რაც ბუნებრივად ზრდის საერთო მაჩვენებელს.

<u>ნარკოტიკული დანაშაული (სსკ მუხლები 260-274):</u>



<u>კომპიუტერული დანაშაული (სსკ მუხლები 284-286):</u>

დევნა დაიწყო 1 პირის მიმართ სსკ-ის 284-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულზე (კომპიუტერულ სისტემაში უნებართვო შეღწევა).

<u>დანაშაული მმართველობის წესის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 343-363):</u>

დევნა დაიწყო 2 პირი სსკ-ის 360-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულზე (თვითნებობა).

<u>დანაშაულის დროულად აღკვეთისა და გახსნის წინააღმდეგ მიმართული ქმედება (სსკ მუხლები 374-376):</u>

დევნა დაიწყო 1 პირის მიმართ სსკ-ის 376-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულზე (დანაშაულის შეუტყობინებლობა).

6.3. დევნის შეწყვეტის მაჩვენებელი არასრულწლოვანთა მიმართ

2019 წლის ოქტომბრის თვეში სისხლისსამართლებრივი დევნა შეწყდა 5 არასრულწლოვანი პირის მიმართ შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის რეგიონში (ცხრილი 3, ცხრილი 4):

6.4. დევნის შეწყვეტის მაჩვენებელი არასრულწლოვანთა მიმართ სისხლის სამართლის კოდექსის კონკრეტული მუხლების მიხედვით

2019 წლის ოქტომბრის თვეში არასრულწლოვანთა მიმართ დევნის შეწყვეტის მაჩვენებელი სსკ-ის კონკრეტული მუხლების მიხედვით ამგვარია (ცხრილი 5):

<u>დანაშაული ჯანმრთელობის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 117- 126[1]):</u>

დევნა შეწყდა 1 პირის მიმართ ძალადობის დანაშაულზე (სსკ-ის 126-ე მუხლი).

<u>დანაშაული საკუთრების წინააღმდეგ (სსკ მუხლები 177-189[1]):</u>

დევნის შეწყვეტის მაჩვენებელი არასრულწლოვანთა მიმართ საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე (2019 წლის ოქტომბერი)

<u>ნარკოტიკული დანაშაული (სსკ მუხლები 260-274):</u>

დევნა შეწყდა 1 პირის მიმართ სსკ-ის 265-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულზე (ნარკოტიკული საშუალების შემცველი მცენარის უკანონო დათესვა, მოყვანა ან კულტივირება).

6.5. დაზარალებული არასრულწლოვნები[4]

2019 წლის ოქტომბრის თვეში სულ დაზარალდა 113 არასრულწლოვანი. დაზარალებული არასრულწლოვნები დანაშაულების მიხედვით ამგვარია (ცხრილი 8):

<u>**დანაშაული ჯანმრთელობის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 117- 126[1]):**</u>

დაზარალებული არასრულწლოვნები ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე
(2019 წლის ოქტომბერი)



[4] გასათვალისწინებელია, რომ სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამის მუხლებთან მიმართებით დათვლილ დაზარალებულ პირთა ჯამი ხშირად აღემატება არასრულწლოვან დაზარალებულ პირთა საერთო მაჩვენებელს, გამომდინარე იქიდან, რომ დანაშაულთა ერთობლიობის დროს (მაგ.: თუ არასრულწლოვანი დაზარალებულის მიმართ ჩადენილ იქნა ორი ან მეტი დანაშაული) დაზარალებული პირის მაჩვენებელი ფიქსირდება თითოეულ მუხლთან მიმართებით. გარდა ამისა, როდესაც ხდება ბრალდებულის მიმართ უკვე წარდგენილი ბრალდების დაზუსტება (რაც პროცესუალურად გულისხმობს პროკურორის მიერ „პირის ბრალდების შესახებ“ ახალი დადგენილებიას გამოტანას), პროგრამული თვალსაზრისით, ეს მოცემულობა შესაძლოა აღქმულ იქნას დამოუკიდებელ დევნის დაწყებად, რაც ბუნებრივად ზრდის არასრულწლოვან დაზარალებულ პირთა საერთო მაჩვენებელს.

<u>დანაშაული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 137-141):</u>



<u>დანაშაული ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ (სსკ მუხლები 142-170):</u>



<u>დანაშაული ოჯახისა და არასრულწლოვნის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 171-176):</u>

დაზარალდა 1 პირი სსკ-ის 171-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის შედეგად (არასრულწლოვნის ჩაბმა ანტისაზოგადოებრივ ქმედებაში).

<u>დანაშაული საკუთრების წინააღმდეგ (სსკ მუხლები 177-189[1]):</u>

დაზარალებული არასრულწლოვნები საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე
(2019 წლის ოქტომბერი)



<u>სატრანსპორტო დანაშაული (სსკ მუხლი 275-283):</u>

დაზარალდა 13 პირი სსკ-ის 276-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის შედეგად (ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევა).

თავი III. სასამართლო სტატისტიკა

ნაწილი 7 - სასამართლოს მიერ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიებები

7.1 აღკვეთის ღონისძიებების შეფარდების შედეგები

2019 წლის ოქტომბერში პირველი ინსტანციის სასამართლოების მიერ განხილულია საგამოძიებო ორგანოებიდან აღკვეთის ღონისძიებების შეფარდებაზე შემოსული 1730 შუამდგომლობა. განხილული შუამდგომლობებიდან დაპატიმრების ხვედრითი წილი შეადგენს 33,8%-ს, გირაოს ხვედრითი წილი - 65,5%-ს, არასრულწლოვანი ბრალდებულის მეთვალყურეობაში გადაცემა - 0,6%-ს (იხ. დანართი ცხრილი №9).

განხილული შუამდგომლობები



სულ განხილული შუამდგომლობიდან სასამართლოს მიერ *დაკმაყოფილებულ იქნა* 758 შუამდგომლობა, ანუ 43,8%. მათ შორის: დაპატიმრების შეფარდებაზე განხილული შუამდგომლობებიდან სასამართლოს მიერ დაკმაყოფილებულ იქნა 70,1%, გირაოს შეფარდებაზე დაკმაყოფილებულ იქნა 29,7%.

დატოვებულია განუხილველად საპროცესო შეთანხმების დამტკიცების გამო საგამოძიებო ორგანოებიდან შემოსული 797 შუამდგომლობა, ანუ 46,1%.

საგამოძიებო ორგანოებიდან შემოსული შუამდგომლობებიდან *უარი ეთქვა* მოცემული შუამდგომლობის შეფარდებაზე და შეეფარდა სხვა აღკვეთის ღონისძიება, ან უარი ეთქვა შეფარდებაზე 175 შუამდგომლობას, ანუ 10,1%-ს;

შუამდგომლობების განხილვის შედეგები



2019 წლის ოქტომბერში სულ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიებებიდან დაპატიმრებაზე მოდის 44,5% (410), გირაოზე - 52,6% (485), არასრულწლოვანი ბრალდებულის მეთვალყურეობაში გადაცემაზე 1,1% (10), გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ შეთანხმებაზე - 1,7% (16).

შეფარდებული აღკვეთის ღონისძიებები



2019 წლის ოქტომბერში პირველი ინსტანციის სასამართლოების მიერ სულ შეფარდებული 922 აღკვეთის ღონისძიებიდან საპატიმრო იყო 410, ანუ 44,5%, ხოლო არასაპატიმრო - 512, ანუ 55,5%. არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიებებში შეფარდებული გირაოს ხვედრითმა წილმა შეადგინა 94,7%.

ნაწილი 8 - პირველი ინსტანციის სასამართლოებში განხილული სისხლის სამართლის საქმეები

8.1 პირველი ინსტანციის სასამართლოების მიერ განხილულ საქმეთა საერთო რაოდენობა

2019 წლის ოქტომბერში პირველი ინსტანციის სასამართლოებში განხილულია 1656 საქმე 1810 პირის მიმართ, აქედან განაჩენის გამოტანით განხილულია 1597 საქმე, ანუ 96,4%, შეწყდა 32 საქმე (1,9%), დაუბრუნდა პროკურატურას 27 საქმე, ანუ 1,6% (იხ. დანართი ცხრილი №10).

2019 წლის ოქტომბერში განაჩენის გამოტანით განხილული საქმეებიდან საპროცესო შეთანხმებით განხილული 1131 საქმე (სულ განხილული საქმეების 70,8%) 1243 პირის მიმართ (სულ განხილული პირების 71,0%), არსებითი განხილვით დამთავრდა 466 საქმე (შესაბამისად 29,2%) 507პირის მიმართ (29,0%).

პირველი ინსტანციის სასამართლოებში არსებითად და საპროცესო შეთანხმებით

განხილული საქმეების ხვედრითი წილი განაჩენის გამოტანით განხილულ საქმეებში



8.2 არსებითი განხილვით დამთავრებული საქმეები

2019 წლის ოქტომბერში პირველი ინსტანციის სასამართლოებში არსებითი განხილვით დამთავრებული 466 საქმიდან გამამტყუნებელი განაჩენი გამოტანილ იქნა 403 საქმეზე, გამამართლებელი განაჩენი - 46 საქმეზე, ნაწილობრივ გამამართლებელი განაჩენი 17 საქმეზე (იხ. დანართი ცხრილი №11).

2019 წლის ოქტომბერში სულ არსებითი განხილვით მსჯავრდებული, გამართლებული და შეწყვეტილი 539 პირიდან გამართლებულ პირთა ხვედრითი წილი შეადგენს 9,3%-ს, ნაწილობრივ გამართლებული პირების ხვედრითი წილი - 3,5%-ს, ხოლო იმ პირების ხვედრითი წილი, რომელთა მიმართ საქმე შეწყდა შეადგენს 5,9%-ს (იხ. დანართი ცხრილი №12).

8.3 საპროცესო შეთანხმებით განხილული საქმეები

2019 წლის ოქტომბერში პირველი ინსტანციის სასამართლოებში სულ არსებითი განხილვის გარეშე შემოსული იყო 871 სისხლის სამართლის საქმე 919 პირის მიმართ. საპროცესო შეთანხმებით განაჩენი გამოტანილ იქნა 1131 საქმეზე 1243 პირის მიმართ. საპროცესო შეთანხმებით გამოტანილ განაჩენებში არსებითი განხილვით შემოსული საქმეების ხვედრითი წილი შეადგენს 24,7% (იხ. დანართი ცხრილი №13.

ნაწილი 9 - მსჯავრდებულები

9.1 მსჯავრდებულთა განაწილება სასჯელის ფორმების მიხედვით

2019 წლის ოქტომბერში სულ მსჯავრდებული 1698 პირიდან:

- თავისუფლების აღკვეთა შეეფარდა 332 პირს, ანუ 19,6%-ს;

- პირობითი მსჯავრი შეეფარდა 837 პირს, ანუ 49,3%-ს;

- ჯარიმა შეეფარდა 356 პირს, ანუ 21,0%-ს;

- საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა 169 პირს, ანუ 10,0%;

- შინაპატიმრობა 4 პირს, 0,2%-ს.

მსჯავრდებულთა განაწილება სასჯელის ფორმების მიხედვით



9.2 მსჯავრდებულთა შემადგენლობა

2019 წლის ოქტომბერში სულ მსჯავრდებული 1698 პირიდან მამაკაცი შეადგენდა 93,5%-ს, ხოლო ქალი 6,5%-ს.

ალკოჰოლურ სიმთვრალეში ჩადენილი დანაშაულის ხვედრითი წილი შეადგენდა 0,4%-ს, ჯგუფურად ჩადენილი დანაშაულის ხვედრითი წილი შეადგენს 1,9%-ს. სოფლად ჩადენილი დანაშაული შეადგენს 26,4%-ს. სულ მსჯავრდებული პირებიდან სხვა სახელმწიფოს მოქალაქე იყო 4,8% (იხ. დანართი ცხრილი №14).

ასაკის მიხედვით მსჯავრდებულები ნაწილდება შემდეგნაირად:

- 14-17 წლის ასაკის მსჯავრდებულია 40 პირი, რაც შეადგენს 2,4%-ს,

-18-24 წლის ასაკის - 221 პირი, ანუ 13,0%,

- 25-29 წლის ასაკის 262 პირი, ანუ 15,4%,

- 30-49 წლის ასაკის 887 პირი, ანუ 52,2%;

- 50 წლის ზევით ასაკის - 288 პირი, ანუ 17,0%

მსჯავრდებულთა განაწილება ასაკის მიხედვით



მსჯავრდებულთა შორის არასრული საშუალო განათლების მქონეა 61 პირი, ანუ 3,6%, საშუალო განათლების მქონეა 1335 პირი, ანუ 78,6%, უმაღლესი განათლების მქონეა 293 პირი, ანუ 17,3%.

მსჯავრდებულთა განაწილება განათლების დონის მიხედვით



1390 მსჯავრდებული პირიდან:

- უმუშევარია 1406, ანუ 82,8%
- კომერციული ან სხვა ორგანიზაციის 57, ანუ 3,4%
- სხვა მომუშავეა 161, ანუ 9,5%
- კერძო მეწარმეა 19, ანუ 1,1%
- მოსწავლე ან სტუდენტია 9, ანუ 0,5%
- საჯარო მოსამსახურეა 12, ანუ 0,7% და სხვა.

მსჯავრდებულთა გადანაწილება საქმიანობის მიხედვით

(პროცენტობით)



მოუხსნელი და გაუქარწყლებელი ნასამართლობის მქონეა მსჯავრდებულთა 9,1%.

9.3 არასრულწლოვანი მსჯავრდებულები

2019 წლის ოქტომბერში მსჯავრდებული იყო 40 არასრულწლოვანი, რაც შეადგენს ოქტომბერში პირველი ინსტანციის სასამართლოებში სულ მსჯავრდებული პირების 2,4%-ს.

არასრულწლოვანი მსჯავრდებულებიდან ვაჟი იყო 39, ანუ 97,5%, გოგონა 2, ანუ 2,5%. არ მუშაობდა და არ სწავლობდა 37 არასრულწლოვანი, ანუ სულ მსჯავრდებული არასრულწლოვნების 92,5% (იხ. დანართი ცხრილი №15).

2019 წლის ოქტომბერში სულ მსჯავრდებული 40 არასრულწლოვანიდან თავისუფლების აღკვეთა შეეფარდა 8 პირს, ანუ 20,0%-ს, პირობითი მსჯავრი 27 პირს, ანუ 67,5%-ს, შინაპატიმრობა 3 პირს, ანუ 7,5%-ს, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა 2 პირს, ანუ 5,0%-ს.

არასრულწლოვან მსჯავრდებულთა განაწილება სასჯელების მიხედვით



მსჯავრდებული 40 არასრულწლოვანი პირი დანაშაულის სახეების მიხედვით ნაწილდება შემდეგნაირად:

- ქურდობისათვის მსჯავრი დაედო 23 პირს, ანუ 57,5%, მათ შორის თავისუფლების აღკვეთა შეეფარდა 4 პირს, ანუ 17,4%;

- ყაჩაღობისათვის მსჯავრი დაედო 4 პირს, ანუ 10,0%, მათ შორის თავისუფლების აღკვეთა შეეფარდა არ შეეფარდა არც ერთ პირს;

- ნარკომანიასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის მსჯავრი დაედო 4 პირს, ანუ 10,0%, მათ შორის თავისუფლების აღკვეთა შეეფარდა 2 პირს, ანუ 50%-ს და სხვა (იხილეთ დანართი ცხრილი №17).

რეგიონების მიხედვით არასრულწლოვანი მსჯავრდებულები ნაწილდებიან შემდეგნაირად:

- თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ მსჯავრდებულ იქნა 21 არასრულწლოვანი, ანუ 52,5%;

- ქვემო ქართლის სასამართლოების მიერ მსჯავრდებულ იქნა 6 არასრულწლოვანი, ანუ 15,0%;

- იმერეთისა სასამართლოების მიერ მსჯავრდებულ იქნა 5 არასრულწლოვანი, ანუ 12,5%;

- აჭარისა და შიდა ქართლის სასამართლოების მიერ 4-4 არასრულწლოვანი, ანუ 10,0% (იხ. დანართი ცხრილი №18).

ნაწილი 10 - დანაშაული და შეფარდებული სასჯელები

10.1 დანაშაულისა და შეფარდებული სასჯელების რაოდენობა დანაშაულთა სახეების მიხედვით

2019 წლის ოქტომბერში პირველი ინსტანციის სასამართლოების მიერ განაჩენის გამოტანით განხილულ იქნა 1597 საქმე 1750 პირის მიმართ. მსჯავრდებული 1698 (50 პირის მიმართ გამოტანილია გამამართლებელი განაჩენი, 2 პირის მიმართ გამოტანილია განაჩენი სასჯელის დაუნიშნავად) პირის მიერ ჩადენილი იყო 2044 დანაშაული, ხოლო დანაშაულის თითოეული ეპიზოდისათვის დანიშნულ იქნა 2186 სასჯელი (იხ. დანართი ცხრილი №19).

2019 წლის ოქტომბერში მსჯავრდებული პირების მიერ ჩადენილი განსაკუთრებით მძიმე დანაშაული შეადგენს 6,3%-ს, მძიმე დანაშაული - 22,8%-ს, ნაკლებად მძიმე დანაშაული 70,9%-ს.

ჩადენილი დანაშაულებისათვის დანიშნული 2186 სასჯელიდან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის შეფარდებული სასჯელი შეადგენს 6,0%-ს, მძიმე დანაშაულისათვის შეფარდებული სასჯელი - 23,1%-ს, ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის შეფარდებული სასჯელი - 70,7%-ს.

მსჯავრდებულთა მიერ ჩადენილი დანაშულებისა და ჩადენილი დანაშაულებისათვის

დანიშნული სასჯელების სტრუქტურა დანაშაულის კატეგორიების მიხედვით (პროცენტობით)



განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის შეფარდებულ სასჯელებში თავისუფლების აღკვეთის ხვედრითი წილი შეადგენს 60,3%-ს, პირობითი მსჯავრის - 38,9%-ს.

მძიმე დანაშაულისათვის შეფარდებულ სასჯელებში თავისუფლების აღკვეთის ხვედრითი წილი შეადგენს 36,3%-ს, პირობითი მსჯავრის - 54,8%-ს, ჯარიმის - 8,1%-ს.

ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის შეფარდებულ სასჯელებში თავისუფლების აღკვეთის ხვედრითი წილი შეადგენს 19,0%-ს, პირობითი მსჯავრის - 41,5%-ს, ჯარიმის - 26,2%-ს, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის - 12,4%-ს.

ჩადენილი დანაშაულებისათვის დანიშნული სასჯელების ფორმების სტრუქტურა დანაშაულის კატეგორიების მიხედვით (პროცენტობით)



2019 წლის ოქტომბერში მსჯავრდებული პირების მიერ ჩადენილია 252 ძალადობრივი დანაშაული, რაც სულ ჩადენილ დანაშაულში შეადგენს 12,3%-ს, აღნიშნული დანაშაულებისათვის დანიშნულია 277 სასჯელი, ანუ 12,7%. პირველი ინსტანციის სასამართლოების მიერ ძალადობრივი დანაშაულისათვის დანიშნულ სასჯელებში თავისუფლების აღკვეთის ხვედრითი წილი შეადგენს 32,5%-ს, პირობითი მსჯავრის 36,5%-ს, ჯარიმის - 23,5%-ს.

ძალადობრივი დანაშაულებისათვის დანიშნული სასჯელები



ოქტომბერში მსჯავრდებული პირების მიერ ჩადენილი დანაშაულებიდან კორუფციული დანაშაულის ხვედრითი წილი შეადგენს 1,9%-ს, დანიშნული სასჯელების ხვედრითი წილი - 12,7%-ს (იხ. დანართი ცხრილი №20).

საანგარიშო პერიოდში მსჯავრდებული პირების მიერ ჩადენილ დანაშაულში ყველაზე მაღალი ხვედრითი წილი მოდის: საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულზე - 21,6% (411), ნარკოტიკულ დანაშაულზე - 27,2% (555), ჯანმრთელობის წინააღმდეგ დანაშაულზე - 17,6% (359), მმართველობის წესის წინააღმდეგ დანაშაულზე - 6,7% (137), დანაშაული ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების წინააღმდეგ - 5,5 (113) და სხვა.

მსჯავრდებული პირების მიერ ჩადენილი დანაშაულების სტრუქტურა (პროცენტობით)



2019 წლის ოქტომბერში დანაშაულის თითოეული ეპიზოდისათვის დანიშნული 2186 სასჯელიდან:

- თავისუფლების აღკვეთა შეადგენს 25,4%-ს (556);

- პირობითი მსჯავრი 44,3%-ს (969);

- ჯარიმა 20,4%-ს (447);

- საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა 8,9%-ს (196).

დანაშაულის თითოეული ეპიზოდისათვის დანიშნული სასჯელების სტრუქტურა



10.2 დანაშაულისა და დანიშნული სასჯელების რაოდენობა რეგიონების მიხედვით

2019 წლის ოქტომბერში პირველი ინსტანციის სასამართლოებში დანაშაულის თითოეული ეპიზოდისათვის შეფარდებული სასჯელებიდან 879, ანუ 40,2% მოდის თბილისის საქალაქო სასამართლოზე, იმერეთის სასამართლოებზე - 269, ანუ 12,3%, აჭარის სასამართლოებზე - 213, ანუ 9,7%, ქვემო ქართლის სასამართლოებზე - 177, ანუ 8,1%, შიდა ქართლის სასამართლოებზე - 114, ანუ 5,2%, სამეგრელოს სასამართლოებზე - 229, ანუ 10,5% და სხვა (იხ. დანართი ცხრილი №21).

ჩადენილი დანაშაულისა და დანიშნული სასჯელების განაწილება რეგიონების მიხედვით



ჩადენილი დანაშაულებისათვის დანიშნული სასჯელების ფორმების სტრუქტურა რეგიონალურ ჭრილში (პროცენტობით)



თითოეული დანაშაულისათვის შეფარდებულ სასჯელის ღონისძიებებში თავისუფლების აღკვეთის მაღალი ხვედრითი წილი მოდის: თბილისზე - 34,2%, ქვემო ქართლზე - 31,1%, აჭარაზე - 22,5%, იმერეთზე - 18,2%, კახეთზე - 36,5%, შიდა ქართლზე - 21,1% და ა.შ.

პირობითი მსჯავრის მაღალი ხვედრითი წილი მოდის: იმერეთზე - 55,8%, რაჭაზე - 46,2%, სამცხე-ჯავახეთზე - 61,8%, მცხეთა - მთიანეთზე - 55,7%, თბილისზე - 39,6%, შიდა ქართლზე - 63,2%, გურიაზე - 46,2%, ქვემო ქართლზე - 46,3% და ა.შ.

ჯარიმის მაღალი ხვედრითი წილით გამოირჩევა: რაჭა -30,8%, აჭარა - 28,6%, სამცხე-ჯავახეთი - 32,7%, სამეგრელო - 23,1%, მცხეთა-მთიანეთი - 23,0%, თბილისი - 20,7%, გურია - 25,6% და სხვა.

თავი IV. პენიტენციური და პრობაციის სისტემების სტატისტიკა[1]

ნაწილი 11 - საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - სპეციალური პენიტენციური სამსახური

11.1 ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სქესობრივ-ასაკობრივი ჯგუფები

ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა საერთო რაოდენობის შედარება

საქართველოს მოსახლეობის რაოდენობასთან სქესობრივ ჭრილში

2019 წლის ოქტომბრის მდგომარეობით, პენიტენციური დეპარტამენტის დაწესებულებებში განთავსებული იყო სულ 10 039 პირი, მათ შორის 9 652 კაცი და 387 ქალი.

სპეციალური პენიტენციური სამსახურის მონიტორინგის დეპარტამენტის სტატისტიკის სამმართველოში ყოველთვიურად ხდება ბრალდებულებისა და მსჯავრდებულების საერთო რაოდენობის პროცენტული შედარება, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ 2019 წლის პირველი იანვრის მონაცემებით დაფიქსირებულ საქართველოს მოსახლეობის რაოდენობასთან. ქვეყნის მოსახლეობის აღნიშნულ რაოდენობასთან, მ/წლის 31 ოქტომბრის პენიტენციური დეპარტამენტის მონაცემების შედარების შედეგად ბრალდებულებისა და მსჯავრდებულების საერთო რიცხვმა (10 039) ქვეყნის მოსახლეობის საერთო რაოდენობის (3 723 500) 0.27% შეადგინა. მამრობითი სქესის ბრალდებულებისა და მსჯავრდებულების რაოდენობა (9 652) ქვეყნის მამრობითი სქესის მოსახლეობის (1 790 900) 0.54%-ს, ხოლო მდედრობითი სქესის ბრალდებულებისა და მსჯავრდებულების რაოდენობა (387) ქვეყნის მდედრობითი სქესის მოსახლეობის (1 932 600) 0.02%-ს შეადგენს (იხ. დანართი, ცხრილი №22).

ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა რაოდენობა სქესობრივ-ასაკობრივ ჯგუფებში

2019 წლის ოქტომბრის თვეში, სქესობრივ-ასაკობრივ ჭრილში ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა საერთო რაოდენობის ყველაზე მეტი ხვედრითი წილი სრულწლოვან კაცებზე მოდიოდა (9 604). ქვემოთ მოცემულია ყველა დაწესებულებაში განთავსებულ ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა საერთო რაოდენობის ამსახველი დიაგრამები, სადაც უფრო დეტალურად არის ნაჩვენები სქესობრივი და ასაკობრივი ჯგუფების პროცენტული წილის ურთიერთმიმართება (იხ. დანართი, ცხრილი №23, №24, №25):

[1] ანგარიში მომზადებულია 2019 წლის 31 ოქტომბრის მდგომარეობით არსებულ მონაცემებზე დაყრდნობით.

ბრალდებულები და მსჯავრდებულები ასაკობრივ ჭრილში



როგორც მოცემული დიაგრამიდან ჩანს, 41-49 წლამდე ასაკის ბრალდებულები და მსჯავრდებულები საერთო რაოდენობის ყველაზე დიდი პროცენტული მაჩვენებლით ხასიათდებიან.

ბრალდებულები და მსჯავრდებულები სქესობრივ-ასაკობრივ ჭრილში



ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სქესობრივ-ასაკობრივი კატეგორიები

2019 წლის ოქტომბრის თვეში, პენიტენციურ სისტემაში განთავსებული იყო სულ 10 039 პირი (მათ შორის: ბრალდებული - 1 964; მსჯავრდებული - 8 075). მათი კლასიფიცირება ასაკობრივი კატეგორიების მიხედვით მოცემულია შემდეგ დიაგრამებზე (იხ. დანართი, ცხრილი №27):

ბრალდებულთა
ასაკობრივი კატეგორიები



მსჯავრდებულთა
ასაკობრივი კატეგორიები





ბრალდებულები და მსჯავრდებულები პენიტენციურ დაწესებულებებში

საერთო შეფარდებით დაწესებულებებში განთავსებულ პირთა 19.6%-ს ბრალდებულები შეადგენდნენ. 2019 წლის ოქტომბრის თვეში, 7 პენიტენციურ დაწესებულებაში სულ 1 964 ბრალდებული ირიცხებოდა. დაწესებულებებს შორის მათი ხვედრითი წილი შემდეგნაირად ნაწილდება (იხ. დანართი, ცხრილი №28):



როგორც ზემოთ მოცემული დიაგრამიდან ჩანს, საანგარიშო პერიოდში ყველაზე მეტი ბრალდებული №8 დაწესებულებაში ირიცხებოდა.

საერთო რაოდენობასთან შეფარდებით დაწესებულებებში განთავსებულ პირთა 80.4%-ს მსჯავრდებულები შეადგენდნენ. 2019 წლის ოქტომბერში, 15 პენიტენციურ დაწესებულებაში სულ 8 075 მსჯავრდებული ირიცხებოდა. დაწესებულებებს შორის მათი ხვედრითი წილი შემდეგნაირად ნაწილდება (იხ. დანართი, ცხრილი №28):



როგორც ზემოთ მოცემული დიაგრამიდან ჩანს, საანგარიშო პერიოდში ყველაზე მეტი მსჯავრდებული №15 დაწესებულებაში ირიცხებოდა.

11.2 არასრულწლოვანი ბრალდებულები და მსჯავრდებულები

2019 წლის ოქტომბრის თვეში, პენიტენციურ სისტემაში განთავსებული არასრულწლოვანი ბრალდებულებისა და მსჯავრდებულების რიცხვი (49) ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა საერთო რაოდენობის 0.5%-ს შეადგენს. არასრულწლოვანთა შორის 19 ბრალდებულია, ყველა მამრობითი სქესის. მათი რიცხვი ბრალდებულთა საერთო რაოდენობის 1.0%-ს, ხოლო არასრულწლოვანი ბრალდებულებისა და მსჯავრდებულების საერთო რაოდენობის 38.8%-ს შეადგენს. ქვემოთ მოცემულია დაწესებულებებში მათი განაწილების ამსახველი სურათი (იხ. დანართი, ცხრილი №26):



არასრულწლოვანთა შორის 30 მსჯავრდებულია, აქედან 1 მდედრობითი სქესის. მათი რიცხვი, მსჯავრდებულთა საერთო რაოდენობის 0.4%-ს, ხოლო არასრულწლოვანი ბრალდებულებისა და მსჯავრდებულების საერთო რაოდენობის 61.2%-ს შეადგენს. პენიტენციურ დაწესებულებებში მათი საერთო რაოდენობის განაწილების მაჩვენებელი შემდეგია (იხ. დანართი, ცხრილი №26):



11.3 ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა განთავსების დადგენილი ლიმიტები

„საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს პენიტენციური დაწესებულებების შესახებ“ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 27 აგვისტოს №106 ბრძანებით[2] დადგენილია ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა განთავსების რაოდენობრივი ლიმიტი თითოეული დაწესებულებისთვის. დაწესებულებებში განთავსებულ პირთა რეალური რაოდენობის შედარება, დაწესებულებებში განთავსების ლიმიტირებულ რაოდენობასთან ხდება თითოეულ დაწესებულებასთან მიმართებაში.

პენიტენციურ სისტემას დაქვემდებარებულ 15 დაწესებულებაში არსებული საპატიმრო ადგილების საერთო ლიმიტირებული რაოდენობა 12 185-ს შეადგენს. 2019 წლის 31 ოქტომბრის მონაცემებით, ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა საერთო რაოდენობა (10 039) ამ ზღვარზე 2 146 ერთეულით (17.6%) ნაკლებია. ამ მხრივ სხვადასხვა დაწესებულებებში განსხვავებული მდგომარეობაა. ამასთან აღსანიშნავია, რომ მ/წლის ოქტომბრის თვეში, დადგენილ ლიმიტებთან შედარებით, მეტობის მაჩვენებელი №2 და №15 დაწესებულებებში დაფიქსირდა.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე ასახულია დაწესებულებების ჩამონათვალი დადგენილი ლიმიტებით, სადაც პროცენტული მაჩვენებლის შემდეგ ფრჩხილებში მოცემულია შესაბამისი სხვაობის ამსახველი ციფრი. ამდენად, თითოეულ დაწესებულებაში ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა ამჟამინდელი რაოდენობის დადგენილ ლიმიტზე ნაკლებობა/მეტობა დიაგრამაზე გამოსახულია როგორც რაოდენობრივი, ასევე პროცენტული მაჩვენებლის სახით (იხ. დანართი, ცხრილი №29):

[2] 2015 წლის 27 აგვისტოს №106 ბრძანებაში ბოლო ცვლილება განხორციელდა 2019 წლის 26 აგვისტოს.



როგორც მოცემული გრაფიკიდან ჩანს, საანგარიშო პერიოდში, №2 და №15 დაწესებულებებში განთავსებულ ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა რაოდენობამ დადგენილ ლიმიტს გადააჭარბა, ხოლო ყველაზე ნაკლები პროცენტული მაჩვენებელი №17 დაწესებულებაში დაფიქსირდა.

11.4 მსჯავრდებულები დანაშაულის კატეგორიისა და სახეობის მიხედვით

2019 წლის ოქტომბერის თვეში, პენიტენციურ დაწესებულებებში განთავსებული მსჯავრდებულები, ბრალდებულებისა და მსჯავრდებულების საერთო რაოდენობის 80.4%-ს შეადგენდა. მათგან, უმეტესობას მძიმე დანაშაულისთვის მსჯავრდებული პირები (3776) წარმოადგენენ. ასევე, დიდი ხვედრითი წილით განისაზღვრებოდა განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისთვის მსჯავრდებული პირების (3465) რაოდენობაც. რაც შეეხება მსჯავრდებულთა გადანაწილებას დანაშაულის სახეობის მიხედვით, უნდა აღინიშნოს, რომ მათი უმრავლესობა ეკონომიკური (4 671) და საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ (3 867) ჩადენილი დანაშაულისათვის იხდის სასჯელს. ასევე, მაღალი მაჩვენებლით ხასიათდება ადამიანის წინააღმდეგ (2 937) ჩადენილი დანაშაული (იხ. დანართი, ცხრილი №30, №31):

მსჯავრდებულები
დანაშაულის კატეგორიის მიხედვით დაწესებულებებში





11.5 მსჯავრდებულები დაწესებულების ტიპის მიხედვით

2019 წლის ოქტომბრის თვეში, დაწესებულების ტიპი განესაზღვრა 7 998 მსჯავრდებულს, ხოლო აღნიშნულის მოლოდინში მყოფ მსჯავრდებულთა რაოდენობამ 77 შეადგინა. მათი გადანაწილება დაწესებულების ტიპის მიხედვით შემდეგნაირია (იხ. დანართი, ცხრილი №32):



11.6 უცხო ქვეყნის მოქალაქე და მოქალაქეობის არმქონე ბრალდებულები და მსჯავრდებულები

2019 წლის ოქტომბრის თვეში, პენიტენციურ სისტემაში განთავსებულნი იყვნენ უცხო ქვეყნის მოქალაქეები 50 ქვეყნიდან და მოქალაქეობის არმქონე პირები. მ/წლის ოქტომბრის დასასრულს მათი რიცხვი 727-ს (ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა საერთო რაოდენობის 7.2%) შეადგენდა. მათ შორის: №2 დაწესებულებაში 2 (რუსეთი-საქართველო, რუსეთი-საქართველო), №5 დაწესებულებაში 6 (თურქეთი-საქართველო, თურქეთი-საქართველო, ისრაელი-საქართველო, რუსეთი-თურქეთი, რუსეთი-საქართველო, რუსეთი-საქართველო), №6 დაწესებულებაში 2 (რუსეთი-საქართველო, რუსეთი-საქართველო), №8 დაწესებულებაში 3 (რუსეთი-საქართველო, აზერბაიჯანი-საქართველო, სომხეთი-საქართველო), №12 დაწესებულებაში 1 (ესტონეთი-საქართველო), №15 დაწესებულებაში 1 (ბელარუსი-საქართველო), №16 დაწესებულებაში 4 (საბერძნეთი-რუსეთი, რუსეთი-საქართველო, ირანი-საქართველო, ირანი-საქართველო), №19 დაწესებულებაში 2 (საბერძნეთი-საქართველო, სომხეთი-საქართველო) ორმაგი მოქალაქეობის მქონე ბრალდებული/მსჯავრდებული იმყოფებოდა.

ქვემოთ მოცემულია პენიტენციურ დაწესებულებებში განთავსებულ უცხო ქვეყნის მოქალაქე და მოქალაქეობის არმქონე ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა რაოდენობის ამსახველი დიაგრამები, სქესობრივ-ასაკობრივი ჭრილისა და სახელმწიფოების შესაბამისი მოქალაქეობის მიხედვით (იხ. დანართი, ცხრილი №33, №34):

უცხო ქვეყნის მოქალაქე და მოქალაქეობის არმქონე ბრალდებულები და მსჯავრდებულები სქესობრივ-ასაკობრივ ჭრილში





როგორც ზემოაღნიშნული დიაგრამიდან ჩანს, უცხოელთაგან უდიდესი ნაწილი ირანზე, თურქეთზე, აზერბაიჯანსა და რუსეთზე მოდის. დაბალი მაჩვენებლებით ხასიათდებიან ქვეყნები, რომლებიც დიაგრამაზე გაერთიანებულია კატეგორიაში „სხვა“ (ავღანეთი - 1, ავსტრალია - 1, ალჟირი - 1, არგენტინა - 1, ბულგარეთი - 1, ეკვადორი - 1, ესტონეთი - 1, კვიპროსი - 1, კანადა - 1, კოლუმბია - 1, კორეა - 1, ლიბანი - 1, მექსიკა - 1, ნიდერლანდების სამეფო - 1, პალესტინა - 1, პოლონეთი - 1, პორტუგალია - 1, სირია - 1, ტაჯიკეთი - 1, უგანდა - 1, ფინეთი - 1).


უცხო ქვეყნის მოქალაქე და მოქალაქეობის არმქონე
ბრალდებულები და მსჯავრდებულები
სხვა 6 15
მოქალაქეობის არმქონე 2 1
ჰაიტი 2
ყირგიზეთი 2
ყაზახეთი 1 5
უკრაინა 9 28
უზბეკეთი 1 7
სომხეთი 10 25
საფრანგეთი 3 1
სამხრეთ აფრიკა 2 5
საბერძნეთი 5
რუსეთი 31 66
პაკისტანი 1 1
ნიგერია 8
მოლდოვა 2
მაროკო 5 1
კამერუნი 2
ირანი 20 136
იორდანია 4 4
ინდოეთი 10 10
ისრაელი 3 7
თურქმენეთი 2
თურქეთი 51 92
ერაყი 4 6
ეგვიპტე 2 2
გერმანია 3
ბრაზილია 3
ბელარუსი 2 1
ბანგლადეში 3
აშშ 2 2
აზერბაიჯანი 31 80
0% 10% 20% 30% 40% 50% 60% 70% 80% 90% 100%
ბრალდებულები - 204
მსჯავრდებულები - 523

11.7 პენიტენციურ სისტემაში და სისტემის გარეთ გადაყვანა

2019 წლის ოქტომბრის თვეში, პენიტენციურ სისტემაში სულ 984 პირის გადაადგილება დაფიქსირდა. მათ შორის: საერთო პროფილის საავადმყოფოებში - 499; პენიტენციურ დაწესებულებებში - 485 (იხ. დანართი, ცხრილი №35):



11.8 პენიტენციური სისტემიდან გასვლა

2019 წლის ოქტომბრის თვეში, პენიტენციური დაწესებულებები სხვადასხვა საფუძვლით დატოვა 711 პირმა, რაც დეტალურად ნაჩვენებია ქვემოთ წარმოდგენილ დიაგრამაზე (იხ. დანართი, ცხრილი №36):

პენიტენციური სისტემიდან გასული ბრალდებულები და მსჯავრდებულები



როგორც ვხედავთ, პენიტენციური სისტემიდან გასულ ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა უდიდესი წილი კალენდარულად (188), პირობით ვადამდე[3] (72) და პირობითი მსჯავრით (71) გათავისუფლებულ მსჯავრდებულებზე მოდის. ხოლო, დაბალი მაჩვენებლით არის წარმოდგენილი სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სასჯელით შეცვლა[4] - საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა/შინაპატიმრობა (15), ავადმყოფობით გათავისუფლება - ერთობლივი მუდმივმოქმედი კომისიის მიერ (2), გარდაცვალება (3) და ამნისტია (1). გარდა ამისა,

[3] მონაცემები აღრიცხრულია ადგილობრივი საბჭოების მიერ მიღებული დადებითი გადაწყვეტილებების საფუძველზე, პენიტენციური დაწესებულებებიდან მსჯავრდებულთა გასვლის მიხედვით.

[4] მონაცემები აღრიცხრულია ადგილობრივი საბჭოების მიერ მიღებული დადებითი გადაწყვეტილებების საფუძველზე, პენიტენციური დაწესებულებებიდან მსჯავრდებულთა გასვლის მიხედვით.

სხვა სახით გათავისუფლებულთა (გირაო, საქმის შეწყვეტა, ექსტრადიცია და სხვა) საერთო რაოდენობა (359) მთლიანი რაოდენობის 50.5%-ს შეადგენდა.

11.9 პენიტენციური სისტემიდან ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო გათავისუფლება-გადავადება

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო საპატიმრო სასჯელისაგან გათავისუფლებულ - გადავადებულ ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა დეტალური მონაცემები მოცემულია შემდეგ დიაგრამაზე (იხ. დანართი, ცხრილი №36, №37):



11.10 რესოციალიზაციის მიმდინარეობა

რესოციალიზაციის მიმდინარეობის მაჩვენებელი თითოეული დაწესებულებისთვის ღონისძიებათა ტიპების მიხედვით ითვლება. ამ მიზნით ხდება თითოეულ ღონისძიებაში ჩართული ბრალდებულებისა და მსჯავრდებულების საერთო რაოდენობის აღრიცხვა და მათი დაყოფა სქესობრივ-ასაკობრივ ჯგუფებად. ასევე, აღირიცხება თითოეულ დაწესებულებაში განხორციელებული ღონისძიებათა ტიპები მონაწილე პირების გარეშე.

2019 წლის ოქტომბრის თვეში, პენიტენციურ დაწესებულებებში ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა მონაწილეობით 1 795, ხოლო მონაწილე პირთა გარეშე 4 რესოციალიზაციის ღონისძიება განხორციელდა. მათ შორის, ქვემოთ მოცემული მაჩვენებლების მიხედვით ყველაზე დიდი ადგილი შრომას (477) ეკავა.

ასევე, ქვემოთ წარმოდგენილ დიაგრამებზე ნაჩვენებია თითოეულ რესოციალიზაციის ღონისძიებებში ჩართული ბრალდებულებისა და მსჯავრდებულების რაოდენობის პროცენტული შედარება სქესობრივ-ასაკობრივ ჭრილში და დაწესებულებების მიხედვით, აგრეთვე რესოციალიზაციის ღონისძიებების მაჩვენებელი მონაწილე პირთა გარეშე (იხ. დანართი, ცხრილი №38, №39, №40):

რესოციალიზაციის ღონისძიებებში ჩართული პირები სქესობრივ-ასაკობრივ ჭრილში



რესოციალიზაციის ღონისძიებებში ჩართული ბრალდებულები და მსჯავრდებულები




რესოციალიზაციის მიმდინარეობა
დაწესებულებებში
№19 დაწესებულება
№18 დაწესებულება
№17 დაწესებულება
№16 დაწესებულება
№15 დაწესებულება
№14 დაწესებულება
№12 დაწესებულება
№11 დაწესებულება
№9 დაწესებულება
№8 დაწესებულება
№7 დაწესებულება
№6 დაწესებულება
№5 დაწესებულება
№3 დაწესებულება
№2 დაწესებულება
19
0
222
206
65
179
327
86
2
149
81
4
93
193
20
106
43
0%
10%
20%
30%
40%
50%
60%
70%
80%
90%
100%
სრულწლოვანი - 1 585
არასრულწლოვანი - 210


რესოციალიზაციის ღონისძიებები
მონაწილე პირთა გარეშე
სხვა ღონისძიებები
0.0% (0)
კულტურული ღონისძიებები
100.0% (4)
სპორტული ღონისძიებები
0.0% (0)
0.0%
20.0%
40.0%
60.0%
80.0%
100.0%
120.0%

2019 წლის ოქტომბრის თვეში, არასრულწლოვან ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა მიმართ მიმდინარეობს/წარმატებით დასრულდა/წარუმატებლად დასრულდა რესოციალიზაციის 210 ღონისძიება. ქვემოთ დიაგრამაზე ნაჩვენებია თითოეულ რესოციალიზაციის პროგრამასა და ღონისძიებაში ჩართული არასრულწლოვანი ბრალდებულებისა და მსჯავრდებულების რაოდენობის პროცენტული შედარება:



საანგარიშო პერიოდში, 49 არასრულწლოვანი ბრალდებული/მსჯავრდებული რესოციალიზაციის 210 სხვადასხვა ღონისძიებაში იღებდა მონაწილეობას.

ქვემოთ წარმოდგენილ დიაგრამებზე ნაჩვენებია რესოციალიზაციის მიმდინარე, წარმატებით და წარუმატებლად დასრულებული ღონისძიებების მაჩვენებლები. ასევე, რესოციალიზაციის ღონისძიებები ქვეტიპების მიხედვით:


რესოციალიზაციის ღონისძიებები
შრომა
0
0
477
სპორტული ღონისძიებები
0
0
18
სხვა ღონისძიებები
0
0
88
კულტურული ღონისძიებები
0
33
25
ფსიქო-სოციალური თერაპია
0
0
76
ფსიქო-სოციალური ტრენინგები
0
0
144
საგანმანათლებლო ტრენინგ პროგრამები
0
0
379
პროფესიული განათლება (სასერტიფიკატო)
0
0
433
პროფესიული განათლება (კრედიტებით)
0
0
0
უმაღლესი განათლება
0
0
35
ზოგადი განათლება
0
0
87
0
100
200
300
400
500
600
წარუმატებლად დასრულებული - 0
წარმატებით დასრულებული - 33
მიმდინარე - 1 762


ზოგადი/უმაღლესი განათლება
100
90
80
70
60
50
40
30
20
10
0
87
0
0
0
0
0
0
0
0
0
33
2
ზოგადი განათლება - 87
უმაღლესი განათლება - 35
საჯარო სკოლა - 87
ექსტერნატი გამოცდები - 0
საატესტატო გამოცდები - 0
ეროვნული გამოცდები - 0
ბაკალავრი - 33
მაგისტრატურა - 2


პროფესიული განათლება (კრედიტებით/სასერტიფიკატო), საგანმანათლებლო ტრენინგ პროგრამები
350
300
250
200
150
100
50
0
0 0 0 0 0 0
0 0 291 142 0 0
0 0 0 0 156 223
პროფესიული განათლება (კრედიტებით) - 0
პროფესიული განათლება (სასერტიფიკატო) - 433
საგანმანათლებლო ტრენინგ პროგრამები - 379
პროფესიული განათლება (კრედიტებით) - 0
მ.შ. კომპიუტერული პროგრამები (კრედიტებით) - 0
პროფესიული განათლება (სასერტიფიკატო) - 291
მ.შ. კომპიუტერული პროგრამები (სასერტიფიკატო) - 142
საგანმანათლებლო პროგრამები - 156
მ.შ. ენის შემსწავლელი კურსი - 223


ფსიქო-სოციალური ტრენინგები/თერაპია
100
90
80
70
60
50
40
30
20
10
0
87 57 0 0
0 0 50 26
ფსიქო-სოციალური ტრენინგები - 144
ფსიქო-სოციალური თერაპია - 76
ჯგუფური ინტერვენციები - 87
არტ/მხარდამჭერითი თერაპია - 57
ცენტრალიზებული ტრენინგები - 50
ლოკალური ტრენინგები - 26


კულტურული/სპორტული
და სხვა ღონისძიებები
100
90
80
70
60
50
40
30
20
10
0
25
0
0
33
0
0
0
0
0
0
88
0
0
0
0
0
0
18
კულტურული
ღონისძიებები - 58
სხვა
ღონისძიებები - 88
სპორტული
ღონისძიებები - 18
თეატრალური
დასი - 25
კონკურსები - 0
სხვა კულტურული
ღონისძიებები - 0
ინტელექტუალურ
შემეცნებითი შეხვედრები - 33
რეკრეაციული პროგრამა - 88
სპორტული
წვრთნა - 18


შრომა
(სამეურნეო სამსახური/ინდივიდუალური საქმიანობა
/საწარმოო დასაქმება)
450
400
350
300
250
200
150
100
50
0
415
9
53
შრომა - 477
სამეურნეო
სამსახური - 415
ინდივიდუალური
საქმიანობა - 9
საწარმოო
დასაქმება - 53

11.11 სამეურნეო სამუშაოებში დასაქმება

2019 წლის ოქტომბრის თვეში, პენიტენციური დაწესებულებების სამეურნეო სამსახურებში დასაქმებული იყო 415 პირი. ქვემოთ დიაგრამებზე ნაჩვენებია მათი რაოდენობა სქესობრივი ჭრილისა და შრომის ანაზღაურების მიხედვით (იხ. დანართი, ცხრილი №41):



სამეურნეო სამსახურებში დასაქმებული მსჯავრდებულები სქესობრივ ჭრილში



11.12 დისციპლინური სახდელები

2019 წლის ოქტომბრის თვეში, პენიტენციურ დაწესებულებებში დისციპლინური სახდელები 319-ჯერ იქნა გამოყენებული. საანგარიშო პერიოდში, განხორციელებული დისციპლინური სახდელები სახეებისა და დაწესებულებების მიხედვით ნაჩვენებია ქვემოთ წარმოდგენილ დიაგრამებზე (იხ. დანართი, ცხრილი №42):

დისციპლინური სახდელები







11.13 წახალისების ფორმები

საანგარიშო პერიოდში, მსჯავრდებულთა წახალისების კუთხით 140 ღონისძიება განხორციელდა. მათი გადანაწილება წახალისების ფორმებისა და დაწესებულებების მიხედვით გამოსახულია ქვემოთ წარმოდგენილ დიაგრამებზე (იხ. დანართი, ცხრილი №43):

წახალისების ფორმები



წახალისების ღონისძიებები
სქესობრივ-ასაკობრივ ჭრილში





11.14 პაემნის ღონისძიებები

2019 წლის ოქტომბრის თვეში, ბრალდებულებმა და მსჯავრდებულებმა პაემნის უფლებით სულ 4 970-ჯერ ისარგებლეს. განხორციელებული პაემნები სახეობებისა და დაწესებულებების მიხედვით გამოსახულია ქვემოთ დიაგრამებზე (იხ. დანართი, ცხრილი №44):



პაემნის ღონისძიებები
სქესობრივ-ასაკობრივ ჭრილში



პაემნები დაწესებულებებში



11.15 წარსულში ნასამართლევი ბრალდებულები და მსჯავრდებულები

2019 წლის ოქტომბრის თვეში, წარსულში ნასამართლევი ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა რაოდენობა (3 393) სქესობრივ-ასაკობრივი ჭრილისა და დაწესებულებების მიხედვით გამოსახულია ქვემოთ წარმოდგენილ დიაგრამებზე (იხ. დანართი, ცხრილი №45):





11.16 დაოჯახებული ბრალდებულები და მსჯავრდებულები

2019 წლის ოქტომბრის თვეში, დაოჯახებულ ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა რაოდენობა (5 162) სქესობრივ-ასაკობრივი ჭრილისა და დაწესებულებების მიხედვით გამოსახულია ქვემოთ მოცემულ დიაგრამებზე (იხ. დანართი, ცხრილი №46):





11.17 შეწყალების შედეგად საპატიმრო სასჯელისაგან გათავისუფლება

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, შეწყალების შედეგად საპატიმრო სასჯელისაგან მსჯავრდებულთა გათავისუფლების ფაქტი არ დაფიქსირებულა (იხ. დანართი, ცხრილი №36, №47).

11.18 ამნისტიის შედეგად საპატიმრო სასჯელისაგან გათავისუფლება

2019 წლის ოქტომბრის თვეში, ამნისტიის შედეგად, საპატიმრო სასჯელისაგან ბრალდებულის/მსჯავრდებულის გათავისუფლების სტატისტიკა სქესობრივ-ასაკობრივი ჭრილისა და დაწესებულებების მიხედვით გამოსახულია ქვემოთ დიაგრამებზე (იხ. დანართი, ცხრილი №36, №48):





11.19 პენიტენციურ სისტემაში მომხდარი დანაშაულები

პენიტენციურ სისტემაში დანაშულის ჩადენის ფაქტების მაჩვენებელი გამოითვლება თითოეული დაწესებულებისთვის, საქართველოს სსკ-ის მუხლებით გათვალისწინებული ქმედებების მიხედვით, რაც დაწესებულებებში კრიმინოგენული ვითარების ცალ-ცალკე ჩვენების გარდა საერთო ვითარების ასახვის საშუალებასაც იძლევა. აღნიშნულის გარდა, კრიმინოგენული სიტუაციის აღმრიცხავი მონაცემთა ცხრილები დანაშაულებრივი ფაქტებისა და მათი ჩამდენი პირების ასაკობრივ კატეგორიებს გვიჩვენებს.

საგამოძიებო დეპარტამენტის ინფორმაციაზე დაყრდნობით, 2019 წლის ოქტომბრის თვეში, პენიტენციურ სისტემაში მომხდარი გამოსაძიებელი ფაქტების რაოდენობამ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 15 მუხლით გათვალისწინებული 120 ერთეული ქმედება შეადგინა. მათგან, ყველაზე მეტი ხვედრითი წილი საქართველოს სსკ 126-ე (ძალადობა) მუხლით ჩადენილ ქმედებებზე მოდის.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე ნაჩვენებია, საანგარიშო პერიოდში, გამოძიების დაწყების საფუძვლად ქცეული დანაშაულებრივი ფაქტების რაოდენობა და მათი ხვედრითი წილი საერთო რაოდენობაში (იხ. დანართი, ცხრილი №49, №50):



2019 წლის ოქტომბრის თვეში, გამოძიება 12 სხვადასხვა დაწესებულებაში და დაწესებულების გარეთ მომხდარ დანაშაულებრივ ფაქტებზე დაიწყო. ქვემოთ წარმოდგენილი დიაგრამა ასახავს ადგილმდებარეობის მიხედვით ჩადენილი დანაშაულებრივი ფაქტების პროცენტულ მაჩვენებელს:



საანგარიშო პერიოდში, გამოძიება ჩადენილ დანაშაულებრივ ფაქტზე სულ 116 პირის[5] მიმართ წარიმართა. გამოძიების ობიექტს - ქმედების ჩამდენ პირთა საერთო რაოდენობის უმრავლესობას 26-30 წლამდე ასაკის პირები შეადგენდნენ. ქვემოთ ნაჩვენებ დიაგრამაზე ასახულია 2019 წლის ოქტომბრის თვეში ჩადენილი ქმედებებისა და ჩამდენ პირთა ასაკობრივი კატეგორიების ურთიერთმიმართება:

[5] 2019 წლის ოქტომბრის თვეში, საქართველოს სსკ 177/284-ე მუხლით 1 საქმეზე, 378[2] მუხლით 2 საქმეზე, სსკ 342-ე მუხლით 1 საქმეზე მიმდინარე ეტაპზე არ არის დადგენილი შესაძლო დანაშაულის ჩამდენი პირები, გამოძიება დაწყებულ იქნა ფაქტებზე.

პირთა რაოდენობა,
რომელთა მიმართაც დაწყებულია გამოძიება



11.20 დაავადებათა გავრცელება (პრევალენტობა) პენიტენციურ სისტემაში[6]

დაავადებათა გავრცელება (პრევალენტობა)

2019 წლის ოქტომბრის თვეში, სამედიცინო დეპარტამენტის მონაცემებით, ექიმ-სპეციალისტთა კონსულტაციების შედეგად, ICD10 კოდით განსაზღვრული ძირითადი დაავადების მიხედვით[7], გამოვლენილი დაავადებათა საერთო რაოდენობა 8 920-ს გაუტოლდა. სამედიცინო მდგომარეობის ამსახველი მონაცემთა ცხრილები ასევე იძლევა დაავადებების სქესობრივ-ასაკობრივ ჯგუფებში გავრცელების მასშტაბის დადგენის საშუალებას.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე ნაჩვენებია ICD10 კოდით განსაზღვრული ძირითად დაავადებათა ხვედრითი წილი. პენიტენციურ სისტემაში გავრცელებული დაავადებებიდან ყველაზე დიდი ნაწილი ფსიქიკურ და ქცევით აშლილობებზე (1 426) მოდის. ხოლო, ყველაზე დაბალი მაჩვენებლით წარმოდგენილია ორსულობა, მშობიარობა და ლოგინობის ხანა (2) (იხ. დანართი, ცხრილი №51):

[6] დაავადებათა შესაბამისი კოდები (ICD10) იხილეთ ანგარიშის დანართში.

[7] დაავადებათა უფრო დეტალურად ჩაშლილი მონაცემები იხ. ანგარიშის თანდართულ №51 და №52 ცხრილებში.



დაავადებული პირების კატეგორიაში ყველაზე მეტი მაჩვენებლით სრულწლოვანი კაცები (8 007) ხასიათდებიან. ICD10 კოდით განსაზღვრული ძირითადი დაავადებები, სქესობრივ-ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე (იხ. დანართი, ცხრილი №52):



შემდეგი დიაგრამა გვიჩვენებს ქალებისა და კაცების ასაკობრივი კატეგორიების ხვედრით წილს ICD10 კოდით განსაზღვრულ ძირითად დაავადებათა საერთო რაოდენობაში:



მოცემული დიაგრამიდან ჩანს, რომ მ/წ ოქტომბრის თვეში, დაავადებათა ყველაზე მაღალი მაჩვენებელი სრულწლოვან კაცებსა და ქალებში 41-49 წლამდე ასაკობრივ კატეგორიებში გამოვლინდა.

არასრულწლოვნებში დაავადებების რაოდენობა (59) ICD10 კოდით განსაზღვრულ ძირითად დაავადებათა მთლიანი რაოდენობის (8 920) 0.7%-ს შეადგენს. დიაგრამაზე აღნიშნულია დაავადებათა მაჩვენებელი არასრულწლოვან ბრალდებულებსა და მსჯავრდებულებში, დაავადებათა კატეგორიის მიხედვით:



შემდეგი ორი დიაგრამა აჩვენებს ICD10 კოდით განსაზღვრულ ძირითად დაავადებათა კატეგორიების გავრცელების მასშტაბს ცალ-ცალკე მამრობითი და მდედრობითი სქესის სრულწლოვან ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა მიმართებაში (იხ. დანართი, ცხრილი №52):



დაავადებათა გავრცელება (პრევალენტობა) სრულწლოვან ქალებში



ზემოაღნიშნული დიაგრამებიდან ჩანს, რომ როგორც მამრობითი, ისე მდედრობითი სქესის სრულწლოვან ბრალდებულებსა და მსჯავრდებულებში ფსიქიკური და ქცევითი აშლილობები ჭარბობს.

სამედიცინო სერვისებით უზრუნველყოფა

პენიტენციურ დაწესებულებებში მკურნალობასთან დაკავშირებული მონაცემები ყოველთვიურად გაწეული პრევენციული და სამკურნალო ღონისძიებების მიხედვით ითვლება.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია, 2019 წლის ოქტომბერში, პენიტენციურ დაწესებულებებში განთავსებულ პირთათვის სამედიცინო სერვისებით უზრუნველყოფის მაჩვენებელი, პრევენციული და სამკურნალო ღონისძიებების ტიპების მიხედვით (იხ. დანართი, ცხრილი №53):

პრევენციული და სამკურნალო ღონისძიებები



11.21 გარდაცვალება

2019 წლის ოქტომბრის თვეში, პენიტენციურ სისტემაში ბრალდებულის/მსჯავრდებულის გარდაცვალების 3 ფაქტი დაფიქსირდა. გარდაცვალების მაჩვენებელი ადგილმდებარეობისა და სავარაუდო ნოზოლოგიის მიხედვით ასახულია ქვემოთ დიაგრამებზე (იხ. დანართი, ცხრილი №54, №55):





12.1 არაპატიმარი მსჯავრდებულები

არაპატიმარ მსჯავრდებულთა რაოდენობის სტატისტიკური მონაცემები რეგიონების, სქესობრივ-ასაკობრივი ჯგუფებისა და შეფარდებული ღონისძიების მიხედვით ითვლება. 2019 წლის ოქტომბრის მონაცემებით, საქართველოში სულ 20 348 არაპატიმარი მსჯავრდებული დაფიქსირდა. რეგიონებს შორის მაღალი მაჩვენებლით თბილისი გამოირჩევა, რომელსაც ასევე მაღალი მაჩვენებლით იმერეთის, სამეგრელო ზემო-სვანეთისა და ქვემო ქართლის რეგიონები მოსდევს. არაპატიმარ მსჯავრდებულთა ყველაზე მცირე რაოდენობა კი რაჭა-ლეჩხუმსა და ქ/სვანეთის რეგიონშია დაფიქსირებული. აღნიშნული მონაცემები ასახულია ქვემოთ წარმოდგენილ დიაგრამებზე (იხ. დანართი, ცხრილი №56):

არაპატიმარი მსჯავრდებულები რეგიონებში



შეფარდებული ღონისძიების მიხედვით, ქვეყანაში არაპატიმარ მსჯავრდებულთა ყველაზე მეტი რაოდენობა პირობით მსჯავრზე (16 855) მოდის, ხოლო ყველაზე მცირე მაჩვენებლით სასჯელის მოხდის გადავადება (11) ხასიათდება.

არაპატიმარი მსჯავრდებულები
შეფარდებული ღონისძიების მიხედვით



საანგარიშო პერიოდში, პრობაციის ღონისძიებაშეფარდებულ პირთა რაოდენობა სულ 19 945-ს აღწევს. მათი ხვედრითი წილი შეფარდებული ღონისძიების მიხედვით მოცემულია ქვემოთ წარმოდგენილ დიაგრამაზე:

პრობაციის ღონისძიების შეფარდება



ქვეყნის მასშტაბით, არაპარტიმარ მსჯავრდებულთა უმეტესობა სქესობრივ-ასაკობრივ ჯგუფებში სრულწლოვან კაცებზე მოდის, რაც ნათლად ჩანს ქვემოთ წარმოდგენილ დიაგრამაზე (იხ. დანართი, ცხრილი №57, №58):



12.2 არაპატიმარი მსჯავრდებულები დანაშაულის კატეგორიისა და სახეობის მიხედვით

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, არაპატიმარ მსჯავრდებულთა რაოდენობას დანაშაულის კატეგორიისა და სახეობის მიხედვით შემდეგი დიაგრამები ასახავს (იხ. დანართი, ცხრილი №59):





12.3 არასრულწლოვანი არაპატიმარი მსჯავრდებულები დანაშაულის კატეგორიისა და სახეობის მიხედვით

2019 წლის ოქტომბრის თვის მონაცემებით, არასრულწლოვანი არაპატიმარი მსჯავრდებულები (104) არაპატიმარ მსჯავრდებულთა საერთო რაოდენობის 0.5%-ს შეადგენდნენ. მათი საერთო რაოდენობის კლასიფიცირება დანაშაულის კატეგორიისა და სახეობის მიხედვით შემდეგ სურათს გვაძლევს (იხ. დანართი, ცხრილი №59):





12.4 უცხოელი არაპატიმარი მსჯავრდებულები

საანგარიშო პერიოდში, საქართველოში 17 სხვადასხვა ქვეყნის მოქალაქეობის მქონე - 212 უცხოელი არაპატიმარი მსჯავრდებული დაფიქსირდა, რაც არაპატიმარ მსჯავრდებულთა მთლიანი რაოდენობის 1.0%-ს შეადგენს. მათი განაწილების მაჩვენებელი სქესობრივ-ასაკობრივი ჯგუფებისა და მოქალაქეობის მიხედვით მოცემულია ქვემოთ წარმოდგენილ დიაგრამებზე (იხ.დანართი, ცხრილი №60, №61):





12.5 არაპატიმარი მსჯავრდებულები არასაპატიმრო სასჯელის ტიპის მიხედვით

არასაპატიმრო სასჯელის შეფარდება ხორციელდება როგორც ძირითადი, ასევე დამატებითი სასჯელის სახით. საანგარიშო პერიოდში, არასაპატიმრო სასჯელშეფარდებული პირების რაოდენობამ - 1 345, არაპატიმარ მსჯავრდებულთა საერთო რიცხვის (20 348) 6.6% შეადგინა. მათ შორის, პროცენტული გადანაწილება შემდეგნაირად გამოიყურება: თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევა - 38.9% (523), საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომის დანიშვნა 50.7% (682), იარაღთან დაკავშირებული უფლების შეზღუდვა - 10.4% (140), გამასწორებელი სამუშაოს დანიშვნა ხსენებულ პერიოდში არ დაფიქსირებულა. აღსანიშნავია, რომ არასაპატიმრო სასჯელშეფარდებული პირების საერთო რაოდენობის 3.3% (45) ქალები შეადგენენ (იხ. დანართი, ცხრილი №62):

თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევა



საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომის დანიშვნა



იარაღთან დაკავშირებული უფლების შეზღუდვა



12.6 არაპატიმარ მსჯავრდებულთა მატება

2019 წლის ოქტომბერში, სასამართლოს გადაწყვეტილება არასაპატიმრო სასჯელისა და პრობაციის ღონისძიების შეფარდების შესახებ სულ 1 442 პირის მიმართ იქნა გამოტანილი.

შემდეგ დიაგრამებზე ასახულია ზემოაღნიშნული სასამართლო გადაწყვეტილებების რაოდენობა რეგიონების და შეფარდებული ღონისძიების მიხედვით (იხ. დანართი, ცხრილი №63):

არაპატიმარ მსჯავრდებულთა მატება
რეგიონულ ჭრილში



არაპატიმარ მსჯავრდებულთა მატება
შეფარდებული ღონისძიების მიხედვით



2019 წლის ოქტომბრის თვეში, სასამართლოს გადაწყვეტილება პრობაციის ღონისძიების შეფარდების შესახებ 1 313 პირის მიმართ იქნა გამოტანილი. მათი ხვედრითი წილი შეფარდებული პრობაციის ღონისძიების მიხედვით მოცემულია ქვემოთ წარმოდგენილ დიაგრამაზე:



ქვემოთ დიაგრამაზე მოცემულია 2019 წლის ოქტომბრის თვის განმავლობაში არაპატიმარ მსჯავრდებულთა მატების მაჩვენებელი სქესობრივ-ასაკობრივი ჭრილის მიხედვით (იხ. დანართი, ცხრილი №64):



12.7 დასრულებული საქმეები

საანგარიშო პერიოდში, დასრულებულ საქმეთა რაოდენობა საქართველოს მოქალაქეთა (1 047) და უცხოელთა (5) მიმართ საფუძვლებისა და რეგიონების მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდება (იხ. დანართი, ცხრილი №65, №66, №67, №68):

დასრულებული საქმეები საქართველოს მოქალაქეთა მიმართ
საფუძვლის მიხედვით



დასრულებული საქმეები უცხოელთა მიმართ
საფუძვლის მიხედვით





როგორც დიაგრამიდან ჩანს, დასრულებული საქმეების რაოდენობის მხრივ თბილისის შემდეგ მაღალი მაჩვენებლით გამოირჩევა იმერეთისა და სამეგრელო-ზ/სვანეთის რეგიონები. ხოლო, რაოდენობრივად ბოლო ადგილზე რაჭა-ლეჩხუმი და ქ/სვანეთის რეგიონია.

დასრულებული საქმეების რაოდენობა არაპატიმარ მსჯავრდებულთა სქესობრივ-ასაკობრივ ჭრილში შემდეგია (იხ. დანართი, ცხრილი №66, №67, №68):







12.8 პირობითი მსჯავრის გაუქმება და ნასამართლობის მოხსნა

ქვემოთ მოცემულ დიაგრამებზე ასახულია არაპატიმარ მსჯავრდებულთათვის პირობითი მსჯავრის გაუქმებისა და ნასამართლობის მოხსნის 2019 წლის ოქტომბრის თვის სტატისტიკა სქესობრივ-ასაკობრივი ჭრილისა და რეგიონების მიხედვით (იხ. დანართი, ცხრილი №69):





12.9 არაპატიმარ მსჯავრდებულთა შეწყალება

2019 წლის ოქტომბრის თვეში, არაპატიმარ მსჯავრდებულთა შეწყალების ფაქტი არ დაფიქსირებულა (იხ. დანართი, ცხრილი №70).

12.10 არაპატიმარ მსჯავრდებულთა ამნისტია

2019 წლის ოქტომბრის თვეში, არაპატიმარ მსჯავრდებულთა ამნისტიის ფაქტი არ დაფიქსირებულა (იხ. დანართი, ცხრილი №71).

12.11 საქმეების საშუალო რაოდენობა[8] ერთ ოფიცერზე

2019 წლის ოქტომბრის თვის მონაცემების მიხედვით, ქვეყანაში 20 348 არაპატიმარი მსჯავრდებულის საქმე 136 პრობაციის ოფიცერზე ნაწილდება. საქმეების საშუალო რაოდენობით ერთ ოფიცერზე რეგიონებში თბილისი (188), სამეგრელო-ზ/სვანეთი (166), ქვემო ქართლი (145) და იმერეთი (144) ლიდერობს, ხოლო ყველაზე მცირე საშუალო მაჩვენებელი რაჭა-ლეჩუმსა და ქ/სვანეთში (50) ფიქსირდება. მთლიანი ქვეყნის მასშტაბით, საქმეების საშუალო რაოდენობა ერთ ოფიცერზე მიმდინარე წლის ოქტომბრის თვეში 150 იყო. ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე ასახულია საქმეების საშუალო რაოდენობის მაჩვენებელი რეგიონების მიხედვით (იხ. დანართი, ცხრილი №72):



[8] საქმეების საშუალო რაოდენობა თითოეულ პრობაციის ოფიცერზე რეგიონულ ჭრილში გამოითვლება საანგარიშო პერიოდისთვის მოცემულ რეგიონში დაფიქსირებული არაპატიმარ მსჯავრდებულთა რაოდენობის გაყოფით ამავე რეგიონში მოქმედ პრობაციის ოფიცრების რაოდენობაზე. მთელი ქვეყნის მასშტაბით ერთ ოფიცერზე საქმეების საშუალო რაოდენობის გამოთვლისას არაპატიმარ მსჯავრდებულთა საერთო რაოდენობა იყოფა საქართველოში მოქმედ ყველა პრობაციის ოფიცრის რაოდენობის აღმნიშვნელ რიცხვზე. არაპატიმარ მსჯავრდებულთა რაოდენობა როგორც რეგიონულ ჭრილში, ასევე მთელი ქვეყნის მასშტაბით ასახულია დანართის №56 ცხრილში სახელწოდებით „არაპატიმარ მსჯავრდებულთა რაოდენობა შეფარდებული ღონისძიების მიხედვით რეგიონულ ჭრილში“.

12.12 არაპატიმარ მსჯავრდებულთა რესოციალიზაციის მიმდინარეობა და განრიდებულთა შეფასება

2019 წლის ოქტომბერში, პრობაციის ეროვნული სააგენტოს ხელშეწყობით თბილისის, შიდა ქართლის, მცხეთა-მთიანეთის, ქვემო ქართლის, კახეთის, სამცხე-ჯავახეთის, იმერეთის, გურიის, სამეგრელო-ზ/სვანეთის, რაჭა-ლეჩხუმი და ქ/სვანეთისა და აჭარის რეგიონებში განხორციელებული საზოგადოებრივ-კულტურული საქმიანობის, სარეაბილიტაციო და სამკურნალო პროგრამებისა და დასაქმების ღონისძიებები სულ 317 არაპატიმარი მსჯავრდებულისთვის მოქმედებდა.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამებზე ასახულია არაპატიმარ მსჯავრდებულთა რესოციალიზაციის 2019 წლის ოქტომბრის თვის სტატისტიკა პროგრამების, სქესობრივ-ასაკობრივი ჭრილისა და რეგიონების მიხედვით (იხ. დანართი, ცხრილი №73, №74):







საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, განრიდებულთა შეფასების მაჩვენებელი (73) რეგიონებისა და სქესობრივ-ასაკობრივი ჭრილის მიხედვით ასახულია ქვემოთ დიაგრამებზე (იხ. დანართი, ცხრილი №73, №74):





12.13 არაპატიმარ მსჯავრდებულთა დასაქმება

2019 წლის ოქტომბრის თვის, არაპატიმარ მსჯავრდებულთა დასაქმების სტატისტიკა სქესობრივ-ასაკობრივი ჭრილისა და რეგიონების მიხედვით მოცემულია ქვემოთ წარმოდგენილ დიაგრამებზე (იხ. დანართი, ცხრილი №75):





12.14 შინაპატიმრობა

ქვემოთ მოცემულ დიაგრამებზე ასახულია, საანგარიშო პერიოდში, შინაპატიმრობის შეფარდების სტატისტიკის საერთო მაჩვენებელი სქესობრივ-ასაკობრივი ჭრილის, რეგიონებისა და გადაწყვეტილების მიმღები ორგანოების მიხედვით (იხ. დანართი, ცხრილი №76, №77, №78):







ქვემოთ მოცემულ დიაგრამებზე ასახულია შინაპატიმრობის მაჩვენებელთან დაკავშირებით შემოსულ საქმეთა რაოდენობა სქესობრივ-ასაკობრივი ჭრილის, რეგიონებისა და გადაწყვეტილების მიმღები ორგანოების მიხედვით (იხ. დანართი, ცხრილი №77):







ქვემოთ მოცემულ დიაგრამებზე ასახულია შინაპატიმრობის მაჩვენებელთან დაკავშირებით დასრულებულ საქმეთა რაოდენობა სქესობრივ-ასაკობრივი ჭრილის, რეგიონებისა და გადაწყვეტილების მიმღები ორგანოების მიხედვით (იხ. დანართი, ცხრილი №78):



შინაპატიმრობის შეფარდება - დასრულებულ საქმეთა რაოდენობა სქესობრივ-ასაკობრივ ჭრილში



შინაპატიმრობის შეფარდება - დასრულებულ საქმეთა რაოდენობა სასამართლოს/ადგილობრივი საბჭოების მიერ